სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	რუსთავის „ხარები“ - თბ „ლელო სარასენს“		
გუნდი	რუსთავის „ხარები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	26/11/2023	მატჩის ადგილი	რუსთავი, „ხარები არენა“
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	კლუბი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	რუსთავის „ხარები“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი -ნიკა ამაშუკელი კიდის მსაჯი - საბა აბულაშვილი კიდის მსაჯი - გელა ლემონჯავა	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია : **8.6** საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას; **8.18** „არამართებული ქცევა“ გულისხმობს მომხდარ ნებისმიერ ქცევას, განცხადებას და/ან ქმედებას სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელიმე კონკრეტულ თამაშთან კავშირში ან კავშირის გარეშე, რომელიც: არასპორტულია, თაღლითურია, არღვევს არსებულ წესებს, უდისციპლინობის გამოვლინებაა და/ან ზიანს აყენებს რაგბს, სრკ-ს და მის რომელიმე სტრუქტურას, სრკ-ს წევრ სუბიექტებს და სრკ-ს სტრუქტურების საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირების და/ან რაგბის კომერციული პარტნიორების და/ან მატჩის ოფიციალურ პირთა და/ან სადისციპლინო პერსონალის რეპუტაციას.	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	28/11/2023	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	გრიგორ ქერაშვილი - რუსთავის „ხარები“-ს მენეჯერი	**აღნიშნეთ ვინ**	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის საითინგი; მატჩის კიდის მსაჯის, საბა აბულაშვილის საითინგი; მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის საითინგი;
2. მატჩის მსაჯის, ნიკა ამაშუკელის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის კიდის მსაჯის, საბა აბულაშვილის საითინგი;
4. მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი;
5. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

- რუსთავის „ხარები“-ს მენეჯერმა, გ.ქერაშვილმა აღიარა თამაშის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალი მსაჯების მიმართ მაყურებლების (პატარა ბავშვები) მხრიდან დამამცირებელი ხმაურით გაცილების და ქაღალდის „გუნდის“ სროლის ფაქტი, თუმცა აღნიშნა რომ სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყურებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია და მათი საქციელი არ იყო „ხარები“-ს მწვრთნელის (ირაკლი ნატრიაშვილი) საქციელით პროვოცირებული. გ. ქერაშვილმა განაცხადა, რომ საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას ამ კონკრეტული ფაქტის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

გადაწყვეტილება

1. რუსთავის „ხარები“-ს საშინაო სტადიონს მიეცეს **პირობითი** დისკვალიფიკაცია 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე. სტადიონის დისკვალიფიკაცია გულისხმობს, რომ ქ.რუსთავის „ხარები არენა“-ზე რუსთავის „ხარები“-ს დიდი 10-ს გუნდის თამაშები გაიმართება გულშემატკივრების დასწრების გარეშე.
2. პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვროს 30/11/2023-დან 2023-2024 წლის დიდი 10-ს სათამაშო სეზონის დასრულებამდე.
3. პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდში ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, პირობითი დისკვალიფიკაციის დარჩენილი პერიოდი შეიცვლება რეალური დისკვალიფიკაციით და მას დაემატება განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებული სანქცია.
4. კლუბ რუსთავის „ხარებს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 3000(სამი ათასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 30 დეკემბრამდე.
5. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	30/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**